Drohung

Im **georgischen Strafgesetzbuch** ist die Drohung als besonderes Deliktsmerkmal bei unterschiedlichen Straftaten verankert, so z.B. bei den Sexualdelikten oder bei den Straftaten gegen das Vermögen. Insgesamt betrachtet, bedeutet die Drohung das Inaussichtstellen eines empfindlichen Übels, um einen Nötigungserfolg zu erreichen. Es ist dabei zu berücksichtigen, dass in einigen Fällen die Drohung konkret gegen den Betroffenen gerichtet werden muss, in anderen Fällen genügt aber auch eine Drohung gegenüber den nahen Verwandten des Opfers. Der objektive Tatbestand der Erpressung (Art. 181 gStGB) ist genau so aufgebaut. Entscheidend ist hierbei, dass der Täter auf das Opfer einen Druck ausübt (z.B. wenn er mit der Veröffentlichung der Privatgeheimnisse der Tochter des Opfers droht, sodass es sich gezwungen sieht, sich dem Willen des Täters zu beugen, um seine Tochter zu schützen). Darüber hinaus kennt das georgische Strafgesetzbuch einen eigenständigen Tatbestand der Bedrohung (Art. 151 gStGB). Im Unterschied zu anderen Delikten, bei denen die Drohung nur als Tatbestandsmerkmal auftritt, kann er als Auffangtatbestand betrachtet werden. Dabei ist es für die Strafbarkeit ausreichend, wenn der Täter das Opfer nur erschrecken will und dafür sein Leben, Leib oder Eigentum bedroht. Darüber hinaus ist es notwendig, dass das Opfer diese Bedrohung ernst nimmt und dadurch bei ihm ein Angstzustand entsteht. Auch im **deutschen Strafgesetzbuch** bedeutet Drohung das Inaussichtstellen eines Nachteils (Übels), dessen Verwirklichung davon abhängen soll, dass der Bedrohte nicht nach dem Willen des Täters reagiert. Keine Drohung ist daher die Warnung, bei der die Zufügung des künftigen Übels nicht vom Täter beeinflusst wird. Für die Drohung kommt es – wie in Georgien – nicht darauf an, ob der Täter diese Drohung auch wahrmachen kann oder will. Es reicht aus, wenn für einen objektiven Beobachter der Eindruck erweckt wird, der Täter meine es ernst, und die Drohung für den Bedrohten auch als ernsthaft erscheint. Wird ein Dritter bedroht, um das Opfer zu einem Verhalten zu veranlassen, so genügt dies ebenfalls, wenn der Dritte die Drohung selbst als Übel empfindet. Das deutsche StGB kennt ebenfalls einen Straftatbestand der Bedrohung, § 241 dStGB. Erfasst war dabei zunächst die Bedrohung mit einem Verbrechen. Seit 2021 wird aber auch die Bedrohung mit bestimmten Formen von Vergehen (z.B. gegen die sexuelle Selbstbestimmung) bestraft, um die vermehrt auftretende Hasskriminalität im Internet, vor allem gegenüber Politikern, besser zu erfassen. Bei anderen Strafnormen ist die Drohung – wie im georgischen StGB – nur ein Element von mehreren im objektiven Tatbestand und meist auf das Erzielen eines bestimmten Erfolgs ausgerichtet, z.B. bei der Nötigung (§ 240 dStGB) oder bei der Erpressung (§ 253 dStGB). Manchmal verlangt das Gesetz eine qualifizierte Drohung mit einem bestimmten Übel, nämlich mit einer gegenwärtigen Gefahr für Leib und Leben, so z.B. beim sexuellen Übergriff (§ 177 Abs. 5 dStGB), beim Raub (§ 249 dStGB) oder bei der räuberischen Erpressung (§§ 249, 252, 255 StGB). (Esc/Bji)

მუქარა

ქართულ სისხლის სამართლის კოდექსში მუქარა გხვდება სხვადასხვა დანაშაულში, როგორც მისი ჩადენის ხერხი, იქნება ეს მაგ. სქესობრივი დანაშაულები თუ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები. ზოგადად, ის გულისხმობს მსხვერპლის მიმართ კონკრეტული ქმედებით დამუქრებას, რათა მისი დაშინების საფუძველზე სასურველი შედეგი იქნას მიღწეული. ზოგიერთ შემთხვევაში, აუცილებელია მუქარის განხორციელება უშუალოდ მსხვერპლის მიმართ, ზოგიერთში კი საკმარისია მსხვერპლის ახლო ნათესავის მიმართ დამუქრებაც. გამოძალვის (სსსკ-ის 181-ე მუხლი) შემადგენლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში სწორედ ასე არის ჩამოყალიბებული. მთავარია, ამ დროს დამნაშავე მსხვერპლზე ახდენდეს ზემოქმედება თუნდაც სხვა პირის მიმართ მუქარის გზით (მაგ. მას ემუქრება, რომ მისი ქალიშვილის პირადი ცხოვრების ამსახველ ინფორმაციას გაავრცელებს). გარდა ამისა, სისხლის სამართლის კოდექსი ცალკე მუხლის სახითაც იცნობს მუქარის შემადგენლობას (სსსკ-ის 181-ე მუხლი). სხვა მუხლების შემთხვევაში თუ საუბარია მუქარაზე, როგორც დანაშაულის ჩადენის ხერხზე, ამ შემთხვევაში ეს ნორმა მთლიანად მუქარას ეთმობა. დასჯადობისთვის საკმარისია სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის დაზიანების ან ქონების განადგურების მუქარა და ამ გზით მსხვერპლის დაშინება. მას ასევე მუქარის განხორციელების რეალური შიში უნდა გაუჩნდეს. **გერმანულ სისხლის სამართალშიც** მუქარა სხვის დაშინებას გულისხმობს, რა დროსაც მსხვერპლმა დამნაშავის სურვილის შესაბამისად რაღაც ქმედება უნდა განახორციელოს. მუქარად ვერ შეფასდება ისეთი გაფრთხილება, რომლის შემდგომში განხორციელება დამნაშავეზე არ არის დამოკიდებული. ქართული სისხლის სამართლის მსგავსად, არ აქვს მნიშვნელობა, დამნაშავეს მართლა სურს ან შეუძლია თუ არა მუქარის რეალიზება. მთავარია, მესამე პირისა და ასევე მსხვერპლის გადმოსახედიდან მუქარა სერიოზულად აღიქმებოდეს. თუ მესამე პირის მიმართ ხდება დამუქრება, რათა ამ გზით უშუალო მსხვერპლზე მოხდეს ზემოქმედება, შეფასებისთვის საკმარისია, რომ ამ მესამე პირმა აღიქვას საფრთხე. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსიც იცნობს ცალკე დანაშაულის სახით მუქარის შემადგენლობას (გსსკ-ის 241-ე პარაგრაფი). თავდაპირველად მასში მხოლოდ დანაშაულებრივი ქმედებით დამუქრება იგულისხმებოდა (ანუ ისეთი დანაშაულებით, რომელიც ერთ წელზე მეტი ვადით ისჯება), თუმცა, 2021 წლიდან დასჯადია ისეთი ცალკეული ქმედებებით დამუქრებაც, რომლებიც გერმანული კანონმდებლობით არა დანაშაულად, არამედ სისხლისსამართლებრივ გადაცდომად ითვლება. ასეთია მაგალითად სქესობრივი ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული ცალკეული ქმედებები და ეს ცვლილება გამოიწვია განსაკუთრებით ინტერნეტ სივრცეში პოლიტიკოსების მიმართ განხორციელებული, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების, გახშირებამ. სხვა შემადგენლობების შემთხვევაში, მუქარა, ქართული სისხლის სამართლის მსგავსად, უბრალოდ დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთი ხერხია, მაგ.

იძულების (გსსკ-ის 240-ე პარაგრაფი) ან გამოძალვის შემთხვევაში (გსსკ-ის 253-ე პარაგრაფი). ზოგიერთ შემთხვევაში კანონმდებელი მუქარის კონკრეტულ ფორმებზე მიუთითებს, კერძოდ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისადმი მიმართულ იმწუთიერ მუქარაზე, მაგალითად, სქესობრივი დანაშაულების (გსსკ-ის 241-ე პარაგრაფის მე-5 ნაწილი), ყაჩაღობის (გსსკ-ის 249-ე პარაგრაფი) ან გამოძალვის ცალკეულ შემთხვევებში (გსსკ-ის 249-ე, 252-ე, 255-ე პარაგრაფები). (Esc/Bji)